


საქსუ

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპ.



ნახ. თ. მიწაშვილისა



ჩემს ფელეტონს იმიტომ ჰქვია 18 მარტი, რომ რვა მარტს ცოლთან უსიამოვნების შემდეგ ათი დღე, კამოს ქუჩაზე რომ სასწრაფო დახმარება, იმაში ვეგდე და ეს ფელეტონი მხოლოდ გონს მოსვლის შემდეგ დავწერე.

რედაქტორის კარები რომ შევალე, რედაქტორი წვევს იბარსადა „ხარკოვით“.

— უკაცრავად, ბატონო, სარედაქტორო ფელეტონი მოგიტანეთ, მართალია ათი დღის დაგვიანებით, მაგრამ საბატო მიზეზი მაქვს. — ვუთხარი მე და ფელეტონი ბიულეტენით გავწულოდე.

— არაუშავს, გაისად დავებუდავთ! — მითხრა რედაქტორმა, ფელეტონი უჭრაში გააქანა და „ხარკოვი“ გამოართო.

— გაისად გვიანი იქნება! — ვუთხარი მე და შერყეული ტვინი თავის გაქნევით ეველ ადგილას დაგვბრუნე.

— რატომ, გაისად არ მოვა რვა მარტი თუ?! — გაუკვირდა რედაქტორს.

— სიცოცხლეში მინდოდა მენახა დაბეჭდილი, თორემ ჩემი სიყვდილის გამო რომ კონსტიტუციაში მამაკაცის ქალთან თანასწორობის მუხლს არავინ გააუქმებს, მაგი კი ვიცი.

— რაშია საქმე? — მკითხა რედაქტორმა.

— იმაში წერია, — ვთქვი მე და ჩალურჯებული თვალები უჭრას მივაპყარი. რედაქტორმა ფელეტონი უჭრიდან ამოიღო და გვერდების რაოდენობას გადახედა.

— გრძელია, — თქვა მან.

— ტვინშერყეული კაცის პირობაზე არ უნდა იყოს გრძელი! — შევეკამათე მე.

— ვნახოთ! — თქვა მან.

— ნახეთ! — ვთქვი მე.

— მდაა! — თქვა მან, როდესაც ფელეტონი ჩაიკითხა.

— როგორია? — ვკითხე მე და ცოტა იმედი მომეცა.

— ძალიან უპასუხისმგებლო, ეგოისტი და უშნო თავმოყვარე კაცის დაწერილია! — თქვა მან და ფელეტონი უკან გადმომიგდო.

— რას ქვია უშნო თავმოყვარე! — მეწყინა მე.

— რა მოხდა, შე კაცო, თუ შენ ვის არ გაგვირეცხია სანაღში! — ირონიულად ამომხედა რედაქტორმა.

— მარტო თუ შენგებდა მანდ ლაპარაკი? — ვკითხე და შევატყვე სისხლი საფეთქლებში მომაწვა.

— ახლა შენ შარვალს რომ იუთოვებ, ერთი ორი უთო ცოლის კაბასაც რომ

გაპკრა, მაგითი არაფერი დაშვებდა! — დამარიგა რედაქტორმა.

— სარეცხი! — დავიხრიალე მე.

— რა სარეცხი? — გაუკვირდა რედაქტორს.

— სარეცხიც მე ვრეცხო?! — გადავედი ბლავილზე.

— დაწყნარდით, ამხანავო, დაწყნარდით, სახლში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი! არაფერი სავალდებულოა ხელები დაიგლოჯოს კაცმა მდულარეში, აიღებ პერსოლს, ან კა პირველს, თუმცა ახლან გამოვიდა ახალი მათეთრებელი, მიღვა, პირდაპირ გადასარეცხია, მოაყრი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სარეცხს, ერთნახევარ საათს გააჩერებ ასე, მეგრე გაპკრავ, გამოპკრავ ერთი ორჯერ ხელს, ბევრი არ უნდა. გაველებ მეგრე სუფთა წყალში, მეგრე მოხარშავ სახამებელს... ახლა გაკრახმულბასაც ხომ არ გასწავლი, დალოცვილო, იცი ალბათ! — გაშალა ხელი რედაქტორმა.

— ვიცი! — ვთქვი მე, მეგრე ვიგრძენი თვალეში მიბნელებდოდა და რომ არ წაექცეულიყავი, სკამზე ჩამოვჯექი.

— ახლა იქ რომ გიწერია ქსოვაო, მაგამი გეთანხმები, ქსოვა ნამდვილად არ არის ჩვენი საქმე, ძალიან ძნელია, ვერც მე ვისწავლე ჯერ, მაგრამ წინდის თვალი რომ ჩაუვარდება ქალს, ხანდახან კი უნდა მიეხმარო ამოყვანაში, ბოლოს და ბოლოს, შენი საყიდელი არაა? — მკითხა მან.

— იატაკი? — დავიკვნივსე მე.

— იატაკის გაპრიალებას რა უნდა, შე კაცო, მასტიკას რომ წაუსვამ პარკეტს მეგრე უნდა აიღო ორი ქეჩის ნაჭერი, დადგე ზედ ასე, ა-თქვა მან, ადგა, ფხვები მობრიცა და ორთავე ხელი თემთებზე შემოიწყო. — მოძრაობას იწყებ მარჯვნიდან მარცხნივ, მარჯვნიდან მარცხნივ, რას, დგა, რას, დგა, რას, დგა, ტრი... გასაგებია?

— გასაგებია! — ვთქვი მე.

— ჰოდა, ასეთი წვრილმანების გამო შეიძლება ოჯახის დანგრევა?

— მე უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ბაზარში თუ ეგზავნები ცოლს?! — გაახსენდა უცებ რედაქტორს და გამომცდელად შემომხედა, ახლა თანხმობის ნიშნად დაუქნიე თავი.

— ნაგავი ჩაგაქვს დიდილით ეზოში? — მომიტუტა თვალები რედაქტორმა.

— კი!

— ნოხებს ფერთხავ კვირაში ერთხელ?

— არა.

— რატომ? — თქვა რედაქტორმა, წამოდგა და მუშტები მაგიდაზე დააწყო.

— არა გვაქვს, ბატონო! — დავიხეე უჯან.

— ჰოო. — გააგრძელა მან და დაჯდა.

— რამე დავალებას ხომ არ მომცემთ, ბატონო, კიდევ? — ვკითხე მე.


— რა ვიცი, ღმერთმანი, თასი წვრილმანი საქმეა ოჯახში, ყველაფერს ხომ ვერ გაიხსენებ; კაცი! — შეწუხდა რედაქტორი და ჰერს მიაპყრო თვალები.

ფელეტონი ავიღე და ვიღრე კიდევ რამეს გაიხსენებდა, კარებისკენ წავედი.


— სად მიდიხარ, კაცო! — მომაწია ხმა.

— მე კი ვიცი სად მივდივარ, მაგრამ შენ სად მიდიხარ სამსახური რომ გავითავებდა, შე უბედურო — ვუთხარი მე და კარი გავიხურე.


ჯვებე დუშებავა.



— სარედაქტორო რა საჩუქარი უქიდა ცოლს? — სათადარიგო ნაწილები.



რით ბარდაიცვალა? — დავკოწრინდით, წამოვიქვანე ძალაქალი ძალი სოფელი. — რომორც კი ჩაპრტე 220-ზე, ბალაიწვა.



ჩილაქორი მოიხალა.

— არ ვარბა, არ ვარბა, არ ვარბა!!!

• 1 • 6 • 1 • 4 • 1 • 3 • 2 •
• 4 • 1 • 3 • 2 • 6 • 1 •

ოჯახში „ვოლგა“ შემოვიდა და სომეხი წავიდა.
— მეც მინდა, მასწავლე ტარება... გავუშვებ სისხლი ქმარს და ერთ მშვენიერ დღეს საჭეს მივუტოვებ.
ჩავისვამ ბავშვებს, ქმარს მანქანაში და დავტარებ ზევით-ქვევით. ქმარი უნა ზის და ფრჩხილებს იკვნიტს, მაგრამ უკვე გვიანაა.
გავიზარდე ხალხის თვალში, სადღაა მრისხანე მილიციელი? გავუღიმიე, გამიღიმიეს, ხელს აუღლებ, თითს დამიქნევს. მაგრამ ერთხელ... ველარ ვცნობ, წარბები შეუკრავს. მცაცრად მეუბნება.
— თქვენი საბუთი!
— თქვენ ხომ...
— დიახ, გიცნობთ, მაგრამ მაინც, ვისია მანქანა?
— ჩემი... ჩემი ქმრის.
— ჰოდა, ასე თქვით.
— მერე, ვინ გაპყრო ჩვენი ქონება? — ვაწვდი ქმრის საბუთს.
— აქ სხვა გვარია, იქ — სხვა. მიჩვენეთ მინდობილობა, იქნებ მეუღლის დაუყო-

თხავად...
— მინდობილობა?... ქმარი მე ყველაფერს მანდობს: სახლ-კარს, შვილებს, მანქანას, შარვლის დაუთოვებს... თქვენ გინდათ, მე ვატარო საბუთი, რომ ქურტლის დარეცხვასაც მანდობს?

მძღოლის წიგნაკი ჩამომართვეს.
არაგისთვის არაფერი მითქვამს, გულის კანკალით ვაწვდი ავტონისსპექტორში, შოფერი ვერ აცდებდა ამ მისამართს. შევდივარ უფროსთან.

— გვარი?... თქვენ შემჩნეული ხართ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევაში. მომცით ტალონი!

— ნუ დამლუბავთ, მე ვერ ახალგაზრდა ვარ... მე მილიცია ისე მიყვარს... ლექსიცი დავწერე...

— ლექსი?! — ასწია თავი უფროსმა და შემათვალისწინა, — პოეტი ხართ? თავიდან გეტყვით, ახა თქვენი წიგნაკი, — უფროსმა დამიბრუნა მძღოლის წიგნაკი და დიდის პატივით გამომიტოვებდა.

გადის ხუთი დღე, ჩემს ნებაზე დანებდები. არ მესმის სასტვენის ხმა, არცინ მაწუხებს... და უცებ კვლავ მაჩერებს მილიციელი.

— თქვენი მანქანა აღრიცხვაზეა.
— რა დავაშავე? — გავბრუნებ ინსპექტორში, გაბედულად ვაღებ უფროსის კარებს.
— ვინც მოვიდა, გაუ-მარ-ჯოს! — მეგებება უფროსი.
— მგონი დავაშავე რაღაც, არა?
— თქვენ არა, მე დავაშავე... იცით, ლექსი დავწერე. მინდა წაგიკითხოთ.

გაბრუნებული გამოვიდვარ იქიდან, რედაქციაში მომაქვს ასტრიქონიანი ლექსი. გადის დრო. კარგად დავეუფლე მანქანას, გზები და გზაჯვარედინები შევითვისე... მაგრამ, ამას რაღა უნდა?..

— ნაბრძანები მაქვს... — მეუბნება მილიციელი და მართმევს წიგნაკს. ინსპექტორში ისე შევდივარ, როგორც საკუთარ სახლში!

— ოჰ, მობრძანდით, დაბრძანდით...
— ნეტავ სად, ან როდის დავარდნივ წესი... — ვიწყებ მოზოდიშებით.
— თქვენ კი არა, ისევე შე... მე დავაშავე, ქალიშვილი. პოემა დავწერე (!!).
ვატყობ: ეს არის ნამდვილი ავარია-ავტონისსპექტორი, აშკარად ეჯახება ოლიმპის მთას. ზშირ-ზშირად მიიხებებს. ვცადე ერთი ქალური ეშმაკობაც:

— მშვენიერია, მაგრამ რატომ არ წერთ რომანს?
— ამ დღეებში შევუღლები რომანის წერასაც... — ეშმაკურად იცინის ისიც. გახარებული გამოვიდვარ.

რისიანად დავაქროლებ მანქანას ქუჩაში, ჯიხურში წამოსკუბულ მილიციელს თვალს თვალში ვუყრი. სანავარდო ვადა დიდი მაქვს — იწერება რომანი. და, რაც მთავარია. ვგრძობ: როგორც შოფერ ქალს, მაქვს ესოდენ დიდი პატივი, მე მიცავს ჩემი მილიცია.

გულად კალღანი



რა მოუვიდა?
— ისე ტკბილად მღეროდა ნანას.
თვითონ დამძინა.

სურვილი

ჭაფარიძელები
(წითელწყარო) — ეს რა დავგემართაო, კსაჭირში ვართაო, სამკითხველოს გამგე რომ გვეყავს, სოფსაბჭომ წაგვართვაო, კრების ოქმის გადამწერად ნლომებიით მათაო, ამ საჩივარს მოგახსენებთ კეკელა და მართაო.
ნიანგი — კეკელა და მართაო, თქვენ მართლები ხართაო, სამკითხველოს ერთმა გამგემ თუ არ გაამართლაო, მაშინ ორი იყოლიეთ, — საქმეც გაიმართაო.

ჩანგლარელი
(კასპი) — ჩვენცა გვაქვს ერთი სოფელი სახელად შქვია ჩანგლარი, სწორედ რომ იქ მისწრებაა, ნიანგო, შენი ჩანგალი, ელგანათება არა გვაქვს, დამე გვაწუხებს წყვარამი, გვინდოდა ამის მოწერა, ბნელში დავკარგეთ კალამი.
ნიანგი — თავდაპირველად მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალაამი, მგონია, რასაბჭო გყავთ, შესჩივლეთ თქვენი ვარამი.
ტბელი
(ბორჯომი) — არ ვაპირებდი ამის თქმას, ისე ამ გულის ლხენასა, ამდენი საჩივარი თქვეს, მეც ავიქავებ ენასა, კლუბისთვის ვერ მოგვფვლია, აწვიმს და ათოვს სცენასა.

ნიანგი — იქნება მალე დაინგრეს სოფლის თავკაცთა ზრუნვითა და ახლისათვის იმათვე ქვა აზიდვინეთ ზურგითა.
ი. ი. ალფაიძე
მ. ი. ბარალიშვილი
(თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72 ბ)
— ათას ცხრაას სამოცდაერთს გადავიხდი ბანკეტიო, ახალმოდებულ ბინაში ამოცვივდა პარკეტიო, ვის არ ვთხოვე შეკეთება, არ მიკეთებს არც ერთიო.
ნიანგი — დაპირებით ავსებულთ თუკი მოგდის პაკეტიო, იატაკზე მოაფინე, რაღად გინდა პარკეტიო.







ნახევალ
თვეში
გზა

ნახ. ა. ლომიანი

ქალი
ქალის
ჩემსთვის
30



სწრაფი ა. მდებარეობს თბილისში, რომელიც ახლა დასრულებულია.

სწრაფი 2. მდებარეობს თბილისში, რომელიც ახლა დასრულებულია.



სწრაფი 3. მდებარეობს თბილისში, რომელიც ახლა დასრულებულია.



— მარჯვენა სექციის რეკონსტრუქციის საფუძველია კომპლექსური რეკონსტრუქცია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ შენობის, არამედ მისი მიწის რეკონსტრუქციას. მისი მიწის რეკონსტრუქცია მოიცავს მისი მიწის რეკონსტრუქციას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ შენობის, არამედ მისი მიწის რეკონსტრუქციას.



ნახ. ვ. შინაბაძე

ზუსტი ანგარიში!

ზუსტი ანგარიში! ზუსტი ანგარიში! ზუსტი ანგარიში! ზუსტი ანგარიში! ზუსტი ანგარიში!




„ნიანგის“ მხატვარმა ამას წინაო შეი-
თხვევით იპოვა ასეთი იეროგლიფური
წერილები. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ
აი როგორ გაშიფრა ისინი.

1. ძვირფასო. 2. ნანა. 3. რატომ გამიჩინე
ქლეკი. 4. ისე შექცევი, თითქმის შენი ვალი
მქონდეს. 5. ჩემზე ამბობენ მრავალცოლია-
ნიაო. 6. ტყუილია. 7. ათი წელია ქალი თვა-
ლით არ მინახავს. 8. დროზე მიშვედე, თო-
რემ რომ მოვკვდები, მერე რაღად მინდინარ.
9. შენი დამოკიდებულება ჩემდამი ძალიან
ცივია. 10. შენ გგონია ვხუმრობ?.. 11. რა
კარგ დარს მპირდებოდი და როგორ მომატყუე.
12. ნეტავ თუ გვეღირსება როდისმე. 13.
მეგობრული შეხვედრა. 14. დედას გაფიცებ.
არ მომატყუო. 15. ჩემისთანა კაცს. 16. მთელი
თბილისი რომ შემოირბინო, მაინც ვერ იშოვი.
17. გავიგე გათხოვილხარ. 18. მაგრამ, სულ ერ-
თია მოგიტაცებ. 19. რისთვისაც მზად ვარ მა-
რად. 20. შენთვის მკვდარი. 21. გამშრალი. 22.
დაურუებული და დამუნჯებული. 23. დათო.
24. ბატიაშვილი.

პასუხი

1. სახე დარო. 2. დათო. 3. შენი წერი-
ლი. 4. რომ წავიკითხე, გავსკი ტირილით.
5. იმ კაცს ძალით გამატანეს. 6. მაგან მოსპო
ჩემი ახალგაზრდობა, მკლავს, მაგრამ რა
ვქნა, მაინც ვერ მივანებებ თავს. 7. მშვიდო-
ბით. 8. არ ვიცი, მეღირსება კვლავ შენი ნახვა
თუ არა. 9. მიუვარხარ. 10. გეტრფი. 11. ვგიჟ-
დები. 12. შენი ნანა. 13. შევლიძე-ირემადისა.



უ ა ნ ტ ა ს ტ ი კ უ რ ი მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

△ ერთმა მოსიყვარულე ქმარმა თავის ლამაზ ცოლს დაბადების დღის აღსანიშნავად პატარა ნატვრისთვალი არუქა. ცოლს ძალიან მოეწონა ქმრის საჩუქარი, ნატვრა აღარ დაახანა და სულ მალე სხვისი ცოლი გახდა.

△ ერთმა ლოთმა ცოლის თხოვნით ღვინის სმას თავი გაანება და მფრინავი ხალიჩების ქსოვას მიჰყო ხელი. საქმეს კარგი პირი გამოუჩნდა, იმდენად კარგი, რომ მალე ბედნიერი ცოლი ქმრის მიერ მოქსოვილ ხალიჩაზე დაჯდა და სიხარულით ცას ეწია.

△ ერთ ჩვენებურ ცოლ-ქმარს უცხოელი ბავშვები შეეძინათ, რის გამოც მშობლებსა და შვილებს შორის საერთო ენის გამონახვა ძალიან გაჭირდა. მშობლებმა ბევრი იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ბავშვები ქართულ სკოლაში მიეზარებინათ.

△ ერთხელ ნადირობდა დაბრუნებულმა მეუღლემ თავის ცოლს გარეული რობოტის ლეკვი მოუყვანა. ცოლმა რობოტის ლეკვი გამოზარდა და, სხვათა შორის, კიბერნეტიკაც შეასწავლა. როცა რობოტის ლეკვი დიდი შეიქნა, სულ ადვილად ითვლიდა ზღვაში ქვიშას, ცაზე ვარსკვლავებს, მერე ქვიშას ვარსკვლავებზე ამრავლებდა, წვიმის წვეთებზე ჰყოფდა და შედეგს ცოლსაც და ქმარსაც თანაბრად უნაწილებდა.

**რუსულ-ქართული
ლექსიკონი**

რუსულიდან ქართულად
მთარგმნელთა დასახმარებლად

- Неряха — მყვინთავი
- Серьезный — მონაცრისფრო
- Клубника — ნიკას კლუბი
- Гвоздика — პატარა ლურსმანი
- Садист — დაბრძანდით; მებაღე
- Молоток — პატარა დენი
- Синька — პატარა შვილი — შვილიყო
- Винный — ნაღვინევი
- Сахар — გურულ დიალექტზე. „სად ხარს“ ნიშნავს.
- Плакать — პლაკატი
- Почему-то რათა ტო?
- Аукцион — გვერდის აქცევა
- Беллетристика — სამი თეთრი ტივი
- Булыжник — მოთხილამურე ბუ
- Беспланный — დაგეგმილი ეშმაკი
- Свинец — ღორმუცელა
- Голубцы — პატარა მტრედები



ხასიათის გახსნა



კვებამსტი



კუთხური დიალექტი



მეცხი, წახსნი!

რომელი წლის კაცი ვარ და ჯერ ქალის შერთვაზე არც კი მიფიქრია. ან რა მეჩქარება, ჯანლონით სავსე ვარ. მაგრამ ამას წინათ ამბავი რომ შემემთხვა, იმან ცოტა არ იყოს, დამაფაცურა.

ახალგაზრდობის ქალთან პაემანი მქონდა დანიშნული! დანიშნულ დროს ორიოდე წუთი იყო გადაცილებული, რომ ვიღაცა ქალი გამოჩნდა. იგი შეჩერდა და მზერა მომაპყრო. ყურადღება არ მივაქციე, მე ველოდი ჩემსას, ველოდი, იგი კი არ ჩანდა. რომ აღარ გამოჩნდა, თავში სხვა აზრმა გამოიღვა.

„ჯანდაბას, თუ არ მოვა, ამ ქალს გამოველაპარაკებო, იქნებ რამე გამოვიდეს-მეთქი“ და მივუახლოვდი:

— უკაცრავად! მგონი სადღაც შემხვედრიხართ! თუ მეხსიერება არ მალატობს, ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით, არა?

ქალმა გაიღიმა.

კარგია! — გავიფიქრე მე.

...და ბოლოს, როცა მკვერმეტყველების უმაღლეს წერტილს მივალწიე, ძალ-ღონე მოვიკრიბე, გაცნობის უკანასკნელ საფეხურს გაბედულად შევადგი ფეხი და ვთხოვე თავისი სახელი ეჩუქებინა.

— ნათელა! — თითქმის ცინიკურად მომახალა და ოდნავ აღშფოთებულმა განაგრძო. — თუ არა ვცდები, ერთი კვირაა მიცნობთ და, მგონი, დღეისათვის პაემანიც კი დავნიშნეთ!

ცივმა ოფლმა დამასხა. თავის მართლება ვცადე, მაგრამ ქალიშვილის სახელი ისევ დამაბეიწყდა. ესლა მოგახერხებ: საჩვენებელი თითი შუბლთან მივიტანე და ენის ბორძიკით წავოლულღუდე:

— მაპატიეთ! სკლეროზ...

შერამდინი

საქართველი

— დედა, იცი, რა გითხრა. სიძის ხალატს ჰკერავდი? საათია ვფიქრობ და ვერ მივხვდარვარ ვერაფრით: ნეტავ რა დამართა, ვერ გავიგე ამათი, დილით ადგა სანდრო და აირბინა აღმართი, პური მომირბენინა, არ გვეჭონია კამათი, ტუბილად დამემშვიდობა, ვალიც მომცა ნაშატი... — მერე? მაგას ვერ მიხვდი? რვა მარტია, რვა მარტი!

პ. გოგიაშვილი



მათ ერთმანეთს აკოცეს, დგანან უელ-გადაჭდობილნი,
 კვლავ შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაკეთა ჰობილნი.
 აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს ოთხნივე მძობილნი,
 და მას მზესა მისცეს სალაპი, წადგეს ზრემიას ხმობილნი.